

კონტროლირებადი ნივთიერებების შექმნა, შენახვა, მოხმარების
დეკრიმინალიზაცია, როგორც ნარკოვითარების გაუმჯობესების ერთ-ერთი
მექანიზმი



იულონ აბუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ დგებუაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

იულონ აბუაშვილი

21 ივნისი 2021

აბსტრაქტი

სამყარო აგრძელებს სრული მიმართულებით წინ სვლას, შესაბამისად საჭიროა გარკვეული საკითხების მიმართ შეშინებული დამოკიდებულება მოვიხსნათ, წინ აღუდგეთ და ისე ვებრძოლოთ. დღემდე ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკა არსებობდა და ეს მიდგომა კვლავ გრძელდება. იზრდება ნარკოტიკული საშუალებების რიცხვიც და მისი მოხმარებელიც, აქედან გამომდინარე საჭიროა სწორი, განვითარებული, დახვეწილი და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული ადამიანების დახმარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ჩამოყალიბდეს და არა მკაცრი, სადამსჯელო კანონების არსებობა.

კვლევა ორიენტირებულია საზოგადოების ფართე მასებზე, იურისტებსა თუ არა იურისტებზე, პოლიტიკოსებსა თუ უბრალო მოქალაქეებზე, რათა დაინახონ საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის გამოვლენაც იყო კვლევის ერთ-ერთი მიზანი და დაინახონ და გაეცნონ თანამედროვე მიდგომებს, რომლითაც ეს პრობლემა ქვეყნისთვის შემოსავლის წყარო ხდება, გაიაზრონ რომ იგივე მიდგომა ქვეყანასაც და მოსახლეობასაც მეტად დაეხმარება და განავითარებს. სწორედ აღნიშნული შედეგის დადგომა არის კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის შექმნის მიზანი.

ნაშრომის შექმნის მიმდინარეობისას საჭირო იყო საკანონმდებლო მდგომარეობის შესწავლა, ხარვეზის გამოვლენა, რომელიც მასში არსებობდა და რომლის გამოც უამრავ ადამიანს ცუდი რეალობა დაუდგა, შესწავლილ იქნა სტატისტიკური მონაცემები საკითხის პრობლემატურობის ხაზგასასმელად და ბოლოს საჭირო იყო რეკომენდაციების ეფექტურობის არგუმენტად მოგვეკვლია უცხოური, პოზიტიური პრაქტიკა მისი პოზიტიური შედეგით.

შედეგად აღმოჩნდა, რომ ადამიანების დასჯა ნარკოტიკული საშუალებების შექმნა, შენახვა, მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი სანქციის დაკისრება არის არასამართლიანი, ანგრევს უამრავი ადამიანის ცხოვრებას და სანქცია ვერ ამართლებს მიზანს, აქედან გამომდინარე საჭიროა ნათელი, არგუმენტირებულად გამყარებული

რეკომენდაციების გასაჯაროება ხალხისთვისა თუ კანონმდებლებისთვის, რომლებიც დაარეგულირებენ ამ ყოველივეს.

საძიებო სიტყვები: ნარკოტიკული დანაშაული, ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული ადამიანები, კონტროლირებადი ნივთიერება, თანამედროვე მიდგომები, რეაბილიტაციაზე ორიენტირებული.

Abstract

The World continues developing, which means we must overcome fears about separated issues and fight against them. Strict policy was against drug crime and unfortunately, this policy still exists. The number of drugs is increasing, increases the numbers of addicted people, that means it is necessary to change the situation, choose correct, developed and focused on rehabilitation programmes policy instead the strict laws.

The study focuses on the general public, whether lawyers or nonprofessionals, politicians or ordinary citizens, to see the legislative gap, to make all of them recognize contemporary methods against the issue, how the modern countries made it beneficial for the economy and we must understand that the same regulation will have the same effect on our country. This is the main point of the study.

During the creation of the work it was necessary to study the legislative situation, to identify the gaps that existed in it and due to which many people faced a bad reality, statistical data were examined to highlight the problematic issue and finally it was necessary to find out positive, foreign regulations as the main argument of the recommendations.

As a result, punishing people for buying, storing, consuming drugs is unfair, destroys the lives of many people and the sanction fails to justify the purpose. The issue demands reasoned, argued recommendations as for ordinary people as the legislators who regulate all these.

Key words for search: Drug crime, Drug addicted people, Controlled substance, Contemporary methods, Oriented on the rehabilitation.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ ნიკოლოზ დგებუაძეს, რომელიც დაუღალავად მაძლევდა რჩევებსა და მითითებებს არსებული კვლევის განმავლობაში. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა სისხლის სამართლის სამაგისტრო კურსის ფარგლებში გავლილი საგნის, „აკადემიური წერა იურისტებისთვის“, ხელმძღვანელს თინათინ თურქიას, რომელმაც მომცა საბაზისო ცოდნა მთლიანად თემასთან დაკავშირებით. ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის სტუდენტებს, რომლებთან ერთადაც შევიძინე სიღრმისეული ცოდნა უამრავ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, რაც დიდი მოცულობით იქნა გამოყენებული აღნიშნულ ნაშრომში.